პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 40 (9816) | ოთხშაბათი, 17 თებერვალი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა. დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის ანგარიში.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება და დაიწყო კამათი მოხსენებათა გამო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. ამ საქმეში სოფლისათვის კადრების აღზრდისა და შერჩევის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მსხვილ კოლმეურნეობათა უპირატესობის სრულად გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ კოლმეურნეობის სათავეში იყვნენ უნარიანი, მცოდნე და საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომლებსაც შესწევთ ძალა სწორად განახორციელონ პარტიის პოლიტიკა სოფლად. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოვალეა კარგად ერკვეოდეს აგრონომიის, ზოოტექნიკის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვის საკითხებში, იცოდეს სოფლის მეურნეობის ტექნიკა, საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების უახლესი მიღწევები, იყოს საქმის კარგი ორგანიზატორი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძირითადი, გადამწყვეტი ფიგურაა საკოლმეურნეო წარმოებაში. ის აღჭურვილია პარტიის ნდობით, კოლმეურნეთა ნდობით. კოლმეურნეობის თავმჯდომარე უშუალო შემსრულებელია პარტიისა და მთავრობის დირექტივებისა, კოლმეურნეთა ნებისა.

მოწინავე კოლმეურნეობები წარმატებებს მნიშვნელოვანწილად უნდა უმადლიდნენ თავიანთ ხელმძღვანელ კადრებს, გამგეობას და განსაკუთრებით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს. პრაქტიკამ ცხადყო, რომ კოლმეურნეობის წარმატება ან ჩამორჩენა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია თავმჯდომარის მხრივ ხელმძღვანელობის ხარისხზე.

სტალინირის რაიონის ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ყოველწლიურად ახალ წარმატებებს აღწევს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში. შარშან კოლმეურნეობამ შრომადღეზე გასცა 8 კილოგრამი მარცვლეული, აგრეთვე სხვა პროდუქტები და 8 მანეთი ფული. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ი. ქრისტესიაშვილი დიდ ინიციატივას იჩენს ახლის, მოწინავის საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვისათვის. კოლმეურნეობა ხორბალს თესავს ახალი პროგრესული წესით — ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად, რითაც აღწევს მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას. ამ კოლმეურნეობაში დიდ ფართობებზე ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 20,5 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, გეგმა კი 14 ცენტნერს თვალისწინებდა. აქ თავთავიანი კულტურების აღებისთანავე თესავენ სანაწვერალო კულტურას — სიმინდს. სიმინდის მწვანე მასა სასილოსედ გამოიყენეს და ამით მნიშვნელოვნად განამტკიცეს მეცხოველეობის საკვები ბაზა.

ან ავიღოთ მეორე მაგალითი: ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ს. ბაეულაიშვილი. იგი მტკიცედ იცავს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპებს. უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად გამრავლდა საკოლმეურნეო დოვლათი. აქ შარშან ჰექტარზე მიიღეს 4.694 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რაც 264 კილოგრამით აღემატება 1952 წლის მოსავალს. გადაჭარბებით შეასრულეს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების, მეცხოველეობის განვითარების გეგმები. ფულადმა შემოსავალმა გასულ წელს 8 მილიონ მანეთს გადააჭარბა. თვითეულ გამომუშავებულ შრომადღეზე კოლმეურნეს ხვდა ფულად 27 მანეთი და სხვადასხვა პროდუქტები.

ენერგიულად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებს მ. ჯაშმაშვილი (გორის რაიონი, სოფელი კარალეთი), ს. ძამუკაშვილი (თელავის რაიონი, სოფელი რუისპირი), ა. კვინიკაძე (ორჯონიკიძის რაიონი, სოფელი ღვერკი), გ. არძინბა (გუდაუთის რაიონი, სოფელი დურიფში); გ. ჭელიძე (თეთრი წყაროს რაიონი, სოფელი ასურეთი), მ. ორაგველიძე (მახარაძის რაიონი, სოფელი შრომა), ს. იგითიანი (ახალქალაქის რაიონი, სოფელი კარწახი) და ბევრი სხვა.

რაშია მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების წარმატების საიდუმლოება? უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ ისინი სწორად არჩევენ ადამიანებს საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, სწორად ჰყავთ განაწილებული ძალები. ამასთან ისინი მთელ თავიანთ მუშაობაში ემყარებიან კოლმეურნეებს, საკოლმეურნეო აქტივს. აქ ნამდვილად ჩანს პარტიული ორგანიზაციების როლი კოლმეურნეობათა ცხოვრებაში, კოლმეურნეთა აღზრდაში.

მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში არიან ჩამორჩენილი კოლმეურნეობებიც, სადაც სუსტად არის განვითარებული ეკონომიკა. არსებული მასალები მოწმობენ, რომ ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევა და აღზრდა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მცხეთის, ხაშურისა და სამტრედიის რაიონებში გასულ წელს იყო შემთხვევები, როცა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების პოსტებზე წამოაყენეს ნდობადაუმსახურებელი ადამიანები, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამრღვევნი. თავმჯდომარეები ხშირად იცვლებოდნენ წულუკიძის რაიონშიც. ყოველივე ეს მოწმობს, რომ აღნიშნული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების კადრების აღზრდისა და შერჩევის საკითხებზე.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად შეარჩიონ და ამ საუშაოზე დააწინაურონ პოლიტიკური და საქმიანი თვალსაზრისით შემოწმებული, უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტები, აგრეთვე სხვა სპეციალისტები და სოფლის მეურნეობის მცოდნე პრაქტიკოსები, რომლებსაც ხელმძღვანელი და ორგანიზაციული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და უნარი შესწევთ უზრუნველყონ დიდი საკოლმეურნეო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა.

პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნების ღირსება და სიმწიფე, მათი უნარი — უხელმძღვანელონ მასებს — უნდა გამოჩნდეს უწინარეს ყოვლისა იმით, რომ შეძლონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად შეარჩიონ საზოგადოებრივი მეურნეობის კარგი ორგანიზატორები.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების გამოცდილების შესწავლას. მიზანშეწონილია მოეწყოს საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების შეხვედრა საუკეთესო თავმჯდომარეებთან, მათ მიერ მოწინავე კოლმეურნეობების დათვალიერება. საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისადმი ხელმძღვანელობის მეთოდების, აგრო და ზოოტექნიკის მოწინავე ხერხების საფუძვლიანი შესწავლა სერიოზულად დაეხმარება საკოლმეურნეო კადრებს მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებაში.

საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუღალავად იზრუნონ საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრების იდეური დონის ამაღლებისათვის, მათი ხელმძღვანელობის ოსტატობის სრულყოფისათვის. კოლმეურნეობების კადრებით განმტკიცებისათვის ზრუნვა საფუძვლად უნდა დაედოს პარტიული ორგანიზაციების მთელ მუშაობას კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ეს დიდი მოვლენაა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში. ამ კრებების ორგანიზებულად ჩატარება საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში და კიდევ უფრო განვამტკიცოთ ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შემადგენლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების აღსანიშნავად საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მთელი ძალით იბრძვიან შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის.

საქართველოს სოფლის მშრომელები ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხებთან ერთად უდიდესი აღმავლობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ამომრჩევლებისადმი, სოფლად საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების გაძლიერებით უპასუხებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს და პირობას დებენ, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, 14 მარტს ერთსულოვნად მივლენ საარჩევნო უთებთან და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, ხმას მისცემენ პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, რათა კიდევ უფრო ძლიერი და მდიდარი გახდეს ჩვენი დიადი ქვეყანა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1954 წლის 12 თებერვლის დადგენილებით დაწესა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი 1954 წლის 16 თებერვლიდან 16 მარტამდე თავისუფლდება ძირითადი სამუშაოსაგან და ენახება ხელფასი ძირითადი მუშაობის ადგილას.

გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

16 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა.

სხდომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოსული დელეგატები. საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა შეიკრიბა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის მზადებით.

ამ აღმავლობამ, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მოიცვა საქართველოს ყველა მშრომელნი, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იბრძოლონ, რათა განახორციელონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.

თავის XVI ყრილობაზე საქართველოს კომპარტია მოვიდა მონოლითური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

დილის 11 საათია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე** ყრილობას განხსნილად აცხადებს.

ყრილობის დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის **ვ. ი. ლენინის** და მისი უკვდავი საქმის დიდი განმგრძობის **ი. ბ. სტალინის** ნათელ ხსოვნას.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, სარედაქციო კომისიასა და სამდივნოს.

საქმიანი პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები **ი. ი. ალატორცევი, ა. ი. ანტონოვი, გ. ა. გეგეშიძე, მ. პ. გიორგაძე, ნ. გ. გომელაური, ა. ლ. გუნია, გ. დ. ჯავახიშვილი, ა. ნ. ინაური, შ. თ. კოხრეიძე, ი. პ. ყუჯიაშვილი, მ. ყ. ყულიევი, მ. ი. კუჭავა, დ. მ. მამულაძე, ვ. პ. მჟავანაძე, მ. კ. მაღრაძე, ნ. ლ. ოსინი, დ. ზ. რომელაშვილი, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. სეხნიაშვილი, დ. ს. ტაკიძე, მ. დ. ჩუბინიძე.**

სამანდატო კომისიის შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები **გ. ე. აბესაძე, პ. გ. გილაშვილი, ო. დ. გოცირიძე, ა. მ. დავითაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე, გ. ა. კავსაძე, ზ. ა. კვაჭაძე, ი. ი. კუდუხოვი, მ. ა. მეგრელიშვილი, ი. კ. თარბა, ა. დ. თხილაიშვილი, ლ. მ. უკლება, ვ. დ. ჩალაძე, შ. ი. ჩილაჩავა, ა. ს. შენგელია.**

სარედაქციო კომისიაში აირჩიეს ამხანაგები **ლ. მ. დავითაძე, გ. ნ. ჯიბლაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, ვ. გ. სანაკოევი, ზ. ნ. პოღოსიანი, დ. ა. ხვარცკია, ნ. ე. ჭახრაკია, ე. დ. ჩოფიკაშვილი, ი. ი. ჩხიკვიშვილი.**

სამდივნოს შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები: **პ. ე. ბაქრაძე, ა. ა. გიგოშვილი, კ. ლ. გურგენიძე, გ. ნ. ზამბახიძე, ზ. ვ. კიკნაძე, ა. მ. ქონიაძე, ა. მ. ლაბახუა, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ვ. ი. მელქაძე, გ. გ. სანაკოევი, მ. გ. ჩიქოვანი.**

ერთხმად დაამტკიცეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება;
2. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება;
3. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ვ. პ. მჟავანაძეს.**

მომხსენებელი ლაპარაკობს ჩვენი ხალხის დიდ ისტორიულ წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. იგი ეხება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, რომლებიც დღეს დასმულია პარტიის წინაშე, ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გრანდიოზულ პროგრამაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

დაწვრილებით ახასიათებს რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგების მდგომარეობას, ამხ. მჟავანაძე ეხება საქართველოს კომპარტიის მორიგ ამოცანებს, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არის ნაკლოვანებანი, რომელთა უსწრაფესი აღმოფხვრა უზრუნველყოფს ამ ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები მზად არიან კვლავაც მთელი თავიანთი ძალღონე და ენერგია მოახმარონ ბრძოლას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველი დავალების შესრულებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება. მოხსენება გააკეთა ამხ. **ა. დ. გიორგაძემ.** ცხადდება შესვენება 16 თებერვლის საღამოს სხდომამდე.

16 თებერვლის საღამოს სხდომა

16 თებერვალს საღამოს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მეორე სხდომა. თავმჯდომარეობს ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილი.**

იწყება კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

კამათში გამოვიდნენ ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე** — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, **ა. მ. დავითაშვილი** — საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანი, **ზ. ვ. კიკნაძე** — საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანი, **ა. ს. შენგელია** — საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი, **გ. გ. სანაკოევი** — სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **მ. პ. გიორგაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი, **მ. ა. მეგრელიშვილი** — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ო. დ. გოცირიძის** მოხსენება.

სამანდატო კომისიის მოხსენება ერთხმად დაამტკიცეს. ამით დამთავრდა ყრილობის მეორე სხდომა.

მოსკოველები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ამომრჩევლებისადმი

მოსკოვის საწარმოებში 11 თებერვალს მოეწყო ყველა ამომრჩევლისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის წაკითხვა. აგიტატორებმა საუბრები გამართეს.

ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სატრანსფორმატორო ქარხანაში წარჩინებულმა ტრანსფორმატორთა ამწყობმა ვ. იპატოვმა განაცხადა:

— ჩვენ, მუშები, ერთსულოვნად ვისურვებთ ახალი შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ვალდებულებას ვკისრულობ პირველი კვარტალის დავალება შევასრულო 14 მარტისათვის. მაღალნაყოფიერი შრომითა და კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით ერთხელ კიდევ ცხადყოფთ საბჭოთა ადამიანების ერთიანობასა და დარაზმულობას, ჩვენს ურყევ გადაწყვეტილებას — ძლევამოსილად დავამთავროთ კომუნისტური საზოგადოების შენებლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად საწარმოს ყველა საამქროში მუშები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

ხალტის ქარხანაში ვულკანიზაციის საამქროს მუშამ ამხ. იაკოვლევმა თქვა:

— მე ხმას მივცემ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, სამშობლოს საუკეთესო შვილებს. დარწმუნებული ვარ, რომ გამოვთქვამ ქარხნის ყველა მუშაკის აზრს.

ყველა საამქროს, უბნისა და ბრიგადის კოლექტივებმა, რომლებიც 11 თებერვალს პირველ ცვლაში მუშაობდნენ, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს საწარმოო დავალება.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ პირველი მარტენის საამქროს წითელ კუთხეში მუშაობის დაწყებამდე შეიკრიბნენ მეფოლადეები, მსხმელები, ამწეთა მემანქანეები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. აგიტატორმა ამხ. დრონიკოვმა გააცნო მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა. შემდეგ სიტყვა აიღო მეფოლადე ამხ. გრებეშკოვმა. მან თქვა:

— კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის დიადი ერთიანობა ყველა ჩვენი გამარჯვების ცხოველმყოფელი წყაროა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად მე სიტყვა მივეცი კოლექტივს გეგმის გადამეტებით გამოვადო 80 ტონა ლითონი. უკვე გამოდნობილი მაქვს 30-ზე მეტი ტონა ფოლადი.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ ათასობით მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი აქტიურად იღებს მონაწილეობას მომავალი არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მეფოლადე ამხ. დროზდოვი ყველა ნადნობს ჩქარაოსნული მეთოდით უშვებს. ხარისხული გლინვის საამქროში პირველობას სოციალისტურ შეჯიბრებაში ინარჩუნებენ ცვლები, სადაც ოსტატებად არიან ამხ. კლეიმენოვი, ლარინი და ბოდროვი.

მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის

ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა მიმართვა საქართველოს მეშახტეებისადმი

რამდენიმე დღის წინათ ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტების კოლექტივებმა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ყველა საბადოს მეშახტეებს მიმართეს მოწოდებით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1954 წელს ქვანახშირის მოპოვების სახელმწიფო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ტყიბულელ მეშახტეთა მიმართვაში აღნიშნულია, რომ წელს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დასახულია მეტად პასუხსაგები ამოცანები—მკეთრად გაადიდონ ამ ძვირფასი საწვავის მოპოვება, მთლიანად დაკმაყოფილონ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მზარდი მოთხოვნილება ქვანახშირზე, ხოლო პირველ რიგში სავსებით უზრუნველყონ საწვავით სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საჭიროება. ტყიბულელი მეშახტეები აღნიშნავენ, რომ მათ გასულ წელს ცუდად რიგი იმუშაეს. ვადამდე და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების გეგმები გელათის შახტის, ლენინისა და მოლოტოვის შახტების კოლექტივებმა, მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს მთელმა რიგმა მოწინავე მეშახტეებმა — ა. ვარდოსანიძემ, ი. ლაფერაძემ, ფ. კრასიკოვმა, ა. კუბლაშვილმა, ვ. სისიოკვმა, ა. ქანკვეტაძემ და მრავალმა სხვამ. მაგრამ ამასთან ჰქონდათ ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორებაც შარშან ვერ შეძლეს: საწარმოო გეგმის შესრულებაში ჩამორჩა სტალინის სახელობის შახტი, მოწინავე შახტებშიც კი გეგმას ყველა უბანი და ცვლა ერთნაირი წარმატებით ვერ ასრულებდა.

წელს ტყიბულელმა მეშახტეებმა უკეთესად დაიწყეს მუშაობა. მოამზადეს ახალი ლავები და სანგრევები, გამართეს ახალი ტექნიკა სტალინის სახელობის შახტში, განახორციელეს ქვანახშირის ჩამოტვირთვის მექანიზაცია, მოამზადეს ახალი საექსპლოატაციო ველები ლენინის შახტში, შექმნეს ყველა პირობა 1954 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

განსაკუთრებით დიდი აღმავლობაა ტყიბულის შახტებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ამ დღეებში. მარტო იანვარში ტყიბულელმა მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს და დანიშნულებისამებრ გაგზავნეს 13 სარკინიგზო ეშელონი ქვანახშირი.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ყველა საბადოს მეშახტეთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ტყიბულელმა მეშახტეებმა იკისრეს:

ქვანახშირის ამოღების 1954 წლის გეგმა შეასრულონ 103 პროცენტით, ხოლო სამთო-მოსამზადებელი სამუშაოებისა — 105 პროცენტით; გასულ წელთან შედარებით წელს მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება გაზარდონ საშუალოდ 10 პროცენტით, ქვანახშირის ნაცრიანობა გეგმასთან შედარებით შეამცირონ კიდევ 0,2 პროცენტით, ხოლო თვითღირებულების შემცირებითა და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით მოგვცეს 1,5 მილიონ მანეთამდე დაგროვება; განსაკუთრებული ყურადღება მიაქცონ შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, შრომის ნოვატორული მეთოდების მასობრივად დანერგვას, ქვანახშირის ჩატვირთვა-გამოზიდვის მექანიზაციას; წელს ციკლური მუშაობის გრაფიკზე გადაიყვანონ 13 ლავი, მოამზადონ 800-მდე მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა მეშახტე და უზრუნველყონ მუშათა ახალი საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა 8 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით.

ტყიბულელი მეშახტეები მოუწოდებენ საქართველოს ყველა შახტის კოლექტივს, ყველა მეშახტეს მხარი დაუჭირონ ამ წამოწყებას, გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მიმართვას ხელს აწერენ ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველი შ. ნაბუჟეპია, საქართველოს კ. პ. ტყიბულის რაიკომის მდივანი პ. ბაქრაძე, შახტის უფროსები — ბ. ვაჭარაძე, ი. ვალაბუშვი, მ. კიკვაძე, ნ. ციცხვაია, საშახტო პარტორგანიზაციების მდივნები — ვ. ბრეგაძე, ტ. ბაბრიჰიძე, დ. ბუბაშვილი, ა. კუპრეიშვილი, მოწინავე მეშახტეები — შ. ფურცხვანიძე, ი. ორჯონიკიძე, მ. კოჯლოვი, ვ. სისიოკოვი, ლ. გოჩელაშვილი, გ. დაღუნდარიძე, ბ. ლანჩავა.



კიევი დღეს. კალინინის მოედანი და კრეშჩატიკი.

ფოტო ა. პრიმაჩენკოსი.

პარტიული ცხოვრება

გავაძლიეროთ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა

დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული სამრეწველო საწარმოების წარმოების შემდგომი გაფართოების, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების ყველა შესაძლებლობა აქვთ. ამ შესაძლებლობათა სრულად გამოყენებისათვის აუცილებელია ახალ, მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ მთელი ჩვენი პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად რაიონის ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და ყოველდღიურად ზრდიან მუშაობის ტემპს. საწარმოებმა 1953 წლის პროგრამა გადაჭარბებით შეასრულეს და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს 36 მილიონი მანეთი მოგება.

ამ წარმატებათა მოპოვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა. ახორციელებენ რა პარტიის წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებას ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, ისინი გავლენას ახდენენ საწარმოთა მთელ მუშაობაზე, რაზმავენ მასებს სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ორგანიზაციული მუშაობა, კადრების შერჩევა და აღზრდა, შესრულების შემოწმება პარტიული კომიტეტის მთელი საქმიანობის საფუძველია. რამდენი კარგი რეზოლუცია, კარგი ღონისძიებაც არ უნდა მავიღოთ, თუ იგი არ არის განმტკიცებული ცოცხალი ორგანიზაციული მუშაობით, საქმეს მაინც არაფერი ეშველება. მასებთან განუწყვეტელი კავშირი, მათი მობილიზაცია პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის იდგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. იმასთან ცოტა როდია ისეთი ფაქტი, როცა ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი ორგანიზატორული მუშაობის შეუფასებლობას იჩენს, არ ზრუნავს მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის. რაიონის პარტორგანიზაციებმა, ასრულებენ რა პარტიის წესდების მოთხოვნებს, საგრძნობლად გაუმჯობესეს მასებში ორგანიზატორული მუშაობა. განმტკიცდა პარტიული დისციპლინა, ამაღლდა კრებების იდეური დონე, გაიზარდა კომუნისტების აქტივობა.

ცნობილია, რომ შინაპარტიული მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანი პარტიული კრებების მომზადება და მოწყობაა. პარტიული კრება კომუნისტების აღზრდის სკოლაა, იგი დიდ როლს ასრულებს შინაპარტიული დემოკრატიის განხორციელებაში, თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაშლაში. ბორის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პარტიორო კრების განსახილველად ხშირად აყენებს სამეურნეო ხასიათის საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა ქარხნის ყველა კომუნისტს აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. მაგალითად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და წუნის აღმოფხვრის საკითხი — ლია პარტიულ კრებაზე განიხილეს. ამ საკითხის შესასწავლად პარტბიურომ რამდენიმე დღით ადრე გამოჰყო 7 კომუნისტი-სპეციალისტი, ინჟინერი და სტახანოველი. კრების დღე, ადგილი და დღის წესრიგი თავის დროზე ეცნობა ყველა კომუნისტს, საამქროთა პარტორგანიზაციების მდივნებს, პარტჯგუფორგებს.

პარტიული კრება ზუსტად, დანიშნულ დროზე დაიწყო და მან დიდი პოლიტიკური აქტივობით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა კომუნისტებმა მოურიდებლად ამხილეს ნაკლოვანებანი, ილაპარაკეს ჩამორჩენის მიზეზებზე, შეიტანეს კონკრეტული წინადადებანი. კრებას მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ უზრუნველყო გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ № 4 პურის ქარხანაში, ავეტლის შუშის ქარხანაში, ჩიის საწონ ფაბრიკაში, მე-4 სავაგონო უბანში და სხვა საწარმო-დაწესებულებებში პარტიული კრება ჯერ კიდევ არ არის გადაქცეული კომუნისტების აღზრდის ნამდვილ სკოლად და დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა. ზეიციათად ან სრულიად არ განიხილავენ შინაპარტიული მუშაობის საკითხებს, კრების დღის წესრიგს მხოლოდ პარტორგანიზაციების მდივნები და საწარმოთა ხელმძღვანელები ამზადებენ, ამ საქმეში მონაწილეობას არ იღებენ პარტიის რიგითი წევრები.

ხელმძღვანელობის კომუნისტური სტილის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია სიტყვისა და საქმის, გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობა. კრების მომზადება და ძოწყობა, გადაწყვეტილების მიღება — ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. მთავარია შესრულება. ამიტომ შესრულების შემოწმება, თუ იგი ხორციელდება არა ეპიზოდურად, არამედ სისტემატურად, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების ქმედითი საშუალებაა. მაგრამ ბევრი პარტიული ორგანიზაცია უურადღებას არ აქცევს შესრულების შემოწმებას. ეს მნიშვნელოვანი საქმე მხედველობიდან გამორჩათ მეორე სახელოსნო სასწავლებლის, მარმარილოს გადამმუშავებელი ქარხნის და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში ერთხელაც არ მოუსმენიათ მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

ხანგრძლივი-საარჩევნო კრებებმა გვიჩვენეს, რომ ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დაყენებაში. ამას ისიც მოწმობს, რომ სამი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული, ხოლო შეიცვალა პარტორგანიზაციის 42 მდივანი, მათ შორის 18 — სუსტი მუშაობისათვის. აქედან სერიოზული დასკვნა უნდა გააკეთოს პარტიის რაიონულმა კომიტეტმა. უნდა ითქვას, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი ჯერ კიდევ არასაკმაოდ ეხმარება პირველადს ორგანიზაციებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და მისი განყოფილებები აქამდე არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევდნენ რაიკომსა და მის განყოფილებებს. ცოცხალ, კონკრეტულ ხელმძღვანელობას ზოგჯერ ცვლიდა თათბირები და სხდომები, რომელთა რაოდენობა არც თუ ისე ცოტა იყო.

ეს ნაკლოვანებანი უფრო მეტად შეეხება პარტიის რაიონულ კომიტეტს, რომელიც მოვალეა სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები გადაჭრას მასებში ორგანიზატორული და ფართო პოლიტიკური მუშაობის გზით.

პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება მოითხოვს ყოველმხრივ განვამტკიცოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ავამაღლოთ მათი ბრძოლუნარიანობა, ყოველდღიურად ვზრდოთ კომუნისტების აქტივობა. განსაკუთრებით დიდი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობა უნდა გავწიოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის წარმატებით მოსამზადებლად. ლენინის რაიონის პარტიული ორგანიზაციები ორგანიზატორული მუშაობის დონის მკვეთრი ამაღლებით მიაღწევენ მომავალი არჩევნებისათვის სანიმუშოდ მომზადებას, პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

გ. ცქიტიშვილი,
საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი.

„კომუნისტის" სიგნალის მემდეგ

„მივიწყებული დარგი"

გაზეთ „კომუნისტის" ამა წლის 15 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, — „მივიწყებული დარგი". მასში გაკრიტიკებული იყო ასპინძის რაიონის პარტიული, საბჭოთა დაწესებულებისა და მთელი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმისადმი უდარდელი დამოკიდებულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. კაკაძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. რაიკომმა 19 იანვარს მოიწვია რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მტს-ის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და მეცხოველეობის ფერმის მუშაკების რაიონული თათბირი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან ერთად. თათბირზე განხილულ იქნა საკითხი რაიონში პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და გამოზამთრების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო 9 თებერვალს წერილში მოყვანილი ფაქტების შემოწმების შედეგების შესახებ სპეციალურად იმსჯელა რაიკომის პიუროომ.

საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრების საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის სოფელ ხიზაბავრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ა. ასპანიძეს და მეცხოველეობის ფერმის გამგეს კ. ვეფლიჯანაშვილს პარტიული სასჯელი დაედოთ. პარტიული სასჯელი დაედო და პარტბიუროს მდივნობიდან მოიხსნა სოფელ ორგორას მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ბ. ნაიფაშვილი პირუტყვის გამოზამთრებისათვის ღონისძიებათა მიუღებლობისათვის.

მტს-ის დირექტორს ამხ. ცაგარეიშვილს დაეკალა სამუშაოდან მოხსნას და პასუხისგებაში მისცეს სოფელ ხიზაბავრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ვეტფერმალი ფილიპოვი იმისათვის, რომ დროულად არ განახორციელა კოლმეურნეობის ფერმაში ვეტღონისძიებანი. მასვე დაეკალა დაჩქარებით დაამონტაჟოს რაიონის ჭუთ კოლმეურნეობაში საკვების შესამზადებელი მანქანები.

რაიკომის ბიურომ რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობის შესამოწმებლად და გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად შექმნა სპეციალური კომისია რაიკომის მდივნის თავმჯდომარეობით.

„მოდის მატარებელი"...

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის გასული წლის 29 ნოემბერში დაიბეჭდა ფელეტონი, რომელშიც მხილებული იყო ქალაქ რიგიდან ჩამოტანილი საოჯახო ნივთებით სპეკულაციის ალმაშფოთებელი ფაქტები.

როგორც თბილისის მოლოტოვის რაიონის პროკურორი ამხ. გუმბარიძე გვაცნობებს, ფელეტონში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ამ დღეებში სპეკულანტთა საქმე გაარჩია რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ. სასამართლომ სპეკულანტ ი. ფარაჯანოვს მიუსაჯა 9 წლის პატიმრობა, ე. პაიჭაძესა და რ. გრიქუროვს ექვს-ექვსი წლის პატიმრობა, ლ. გელეიას 5 წლის პატიმრობა. მათვე მიესაჯათ ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა სხვადასხვა ვადით.

მზადება უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

მრავალი ამომრჩეველი იყრის თავს კავშირის საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის — კალინინის № 625 საარჩევნო ოლქის № 9 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში, რომელიც მოთავსებულია მედიცინის მუშაკთა სახლში. აქ ამომრჩევლები ეცნობიან საარჩევნო ლიტერატურას, კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, ისმენენ მოხსენებებსა და საუბრებს, კონსულტაციებს. **სურათზე:** ამომრჩევლები აგიტპუნქტში ეცნობიან საარჩევნო ლიტერატურას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ახალ საარჩევნო უბანში

ყოველი ახალი წელი, თვე და დღეც კი ახალგაზრდა ინდუსტრიულ ქალაქის — რუსთაველის სწრაფი ტემპით ზრდაზე მეტყველებს. ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გასულ არჩევნებთან შედარებით წელს ახალ სოციალისტურ ქალაქში საარჩევნო უბნების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. მიმდინარე წლისათვის რუსთავის ახლადდამთავრებულ საცხოვრებელ უბნებში პირველად შეიქმნა 5 საარჩევნო უბანი. მათ შორის ერთი საარჩევნო უბანი მოეწყო მტკვრის მარჯვენა ნაპირას, სადაც სულ მცირე ხნის წინათ უკაცური ტრამალი იყო, დაახლოებით ისეთივე, როგორიც შვიდიოდე წლის წინათ მთელი რუსთავის გაპარტახებული მიდამო.

ახალი საარჩევნო უბანი № 9 აგიტპუნქტით (გამგე ვ. მაჩაბელი) მომსახურებას უწევს მშენებლებს, რომლებმაც პირველებმა დაარღვიეს მტკვრის მარჯვენა ნაპირას გაშლილი უდაბური ველის ყუდროება, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დახმარე მეურნეობის მუშაკებსა და გარდაბნელ და სოღანლუღელ კოლმეურნე მწყემსებს.

საარჩევნო უბანი მიმზიდველად არის გაფორმებული. მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, აქვეა აგრეთვე მტკვრის მარჯვენა ნაპირას ქალაქის პერსპექტიული მშენებლობის გეგმები და დიაგრამები. სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი „აგიტატორის ხმა". შედგენილია კალენდარული გეგმა, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია ახლო ხანში ამომრჩევლებისათვის მოეწყოს ლექცია-კონცერტი, აგრეთვე ექსკურსია თბილისის ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

მშენებელთა საცხოვრებელ უბნებში ამომრჩეველთა განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს აგიტატორი ვალენტინა დროვალიოვა. თავის მხრივ ვ. დროვალიოვაც ამაყობს იმით, რომ იგი აგიტაციას მართავს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის „ტრანსვოდსტროის" სამშენებლო სამმართველოს სახელმოხვეჭილ მშენებლებთან — მეექსკავატორე გ. კოზლოვსკისთან, მებულდოზერე ბ. ბაღდასარიანთან, სატკეპნი მანქანის მძღოლი ი. მატვეევკოვთან, სატვირთო მანქანის მძღოლებთან — ს. ხოსროშვილთან, მ. ჰუსეინოვთან, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მტკვრის მარჯვენა ნაპირას რუსთავის მეორე ნაწილის მშენებლობის დაწყებისათვის მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულებაში.

აგიტატორი ვ. დროვალიოვა თავის საუბრებს ოსტატურად უკავშირებს მშენებელთა საწარმოო ამოცანებს. ამას წინათ იგი ამომრჩევლებს ესაუბრა რუსთავის წარსულსა და მისი მშენებლობის უახლოეს პერსპექტივებზე.

ვ. დროვალიოვას ცოცხალი საუბრები მშენებლებს უფრო უკეთესი შრომითი მაჩვენებლების მოპოვებისათვის რაზმავს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მნიშვნელობის შესახებ აგიტატორის პირველი საუბრის მოსმენისთანავე მებულდოზერე ბაღდასარიანმა იკისრა ორმაგად შესასრულოს საწარმოო დავალებანი, ხოლო მძღოლმა ხოსროშვილმა ვალდებულება აიღო ახალი თვითნასალული ავტომანქანით კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად გაირბინოს 100 ათასი კილომეტრი.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ქრონიკა

მზადების ეტაპზე

თბილისი. ქალთა მე-15 საშუალო სკოლის შენობაში მოთავსებული აგიტპუნქტი ამ დღეებში კიდევ უფრო გამშვენიერდა. აქ უხვად არის საარჩევნო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები, ლოზუნგები და პლაკატები. შედგენილია აგიტატორთა მორიგეობის ცხრილი. აგიტატორები ე. ჯანაშია, თ. ლაბიშვილი, თ. ჯავარშეიშვილი, თ. ხატაშვილი დიასახლისებს ესაუბრნენ არჩევნების დებულების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის გადაწყვეტილებების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესახებ.

* * *

ყვარელი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაჩაღდა მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

რაიონის მშრომელებს 660-ზე მეტი აგიტატორი განუმარტავს საბჭოთა კონსტიტუციას, საბჭოთა საარჩევნო სისტემას, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნა. ყველა ამომრჩეველისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად რაიონის მშრომელებმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

* * *

ასპინძა. (საკ. კორ.). რაიონის მოსახლეობაში საგიტაციო საუბრებს მართავს 250-ზე მეტი აგიტატორი. ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან სოფლების ხერთვისის, ტოლოშის, ჭობარეთის აგიტპუნქტები. ხშირად იმართება ლექციები და მოხსენებები. მთელი საagიტაციო მუშაობა ახლა მიმართულია იქითკენ, რომ მოსახლეობას ფართოდ გააცნონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ამომრჩევლებისადმი, დარაზმონ რაიონის მშრომელები არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის, მაღალი შრომითი მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

* * *

სამტრედია. (საკ. კორ.). სამტრედიის სავაგონო დეპოში შეჯიბრების მონაწილენი პირველი დღეებიდანვე პირნათლად ანაღდებენ არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს. განსაკუთრებით დაწინაურდნენ აწევითი შეკეთების საამქრო (ოსტატი შ. ლოჩიაშვილი) და აუხსნელად შეკეთების საამქროს ის ცალები, რომლებსაც გ. კაკაძე და ბ. ინჯგია ხელმძღვანელობენ.

შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით განაღდებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი საქართველოს კ. ბ. XVI ყრილობის დელეგატმა სტახანოველმა მეჩეველმა ბ. კოხრიძემ, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 205 პროცენტით ანაღდებს.

* * *

ქუთაისი. (საკ. კორ.). ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა იანვრის დავალება საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა და პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 2,5 პროცენტით გაადიდა, ამასთან გასწია საპირე და საძირე ტყავის ეკონომია.

არჩევნების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომბინატში დაწინაურდა ფეხსაცმლის შემკერავი მთავარი საამქრო (უფროსი გ. კოკაძე), რომელმაც იანვარში გეგმის გადამეტებით ათასი წყვილი ფეხსაცმელი დაამზადა.

კონსულტაცია

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორპალატიანი სისტემა საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო საბჭოთა ხალხების უშუალო წარმომადგენლობითი ორგანოა. იგი, საბჭოთა კონსტიტუციის შესაბამისად, გამოხატავს ხალხის ნებისყოფას და ახორციელებს მათს სუვერენულ უფლებებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო არის ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების სრულუფლებიანი უმაღლესი ორგანო — ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო მთელი კავშირის მასშტაბით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შედგება ორი პალატისაგან — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან.

საბჭოთა სახელმწიფოში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორპალატიანი სისტემის საფუძველი უნდა ვეძიოთ საბჭოთა საზოგადოების თანამედროვე ვითარებაში, ლენინურ — სტალინურ ეროვნულ პოლიტიკაში, დიდ და პატარა ეროვნებათა თანასწორობის თეორიაში. „ერთპალატიანი სისტემა ორპალატიანზე უკეთესი იქნებოდა, სსრ კავშირი რომ ერთიან ეროვნულ სახელმწიფოს წარმოადგენდეს", — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი საბჭოების საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე.

სსრ კავშირი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოა. სამოცამდე ერი, ეროვნება და ეროვნული ჯგუფი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში. ყოველ ეროვნებას აქვს თვითგამორკვევის უფლება, ცალკე ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულებად ჩამოყალიბების უფლება და გააჩნიათ განსაზღვრული კონსტიტუციური უფლებრივი მდგომარეობა.

ყოველ ეროვნებას თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური თვისებები ახასიათებს, რომელთა ასასახავად აუცილებელია სპეციალური ორგანო. სწორედ ასეთ ორგანოს წარმოადგენს ეროვნებათა საბჭო. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორპალატიანი სისტემა ემყარება ეროვნებათა თანასწორუფლებიანობისა და მათი თავისუფალი განვითარების პრინციპს.

უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში კავშირის საბჭო ასახავს სსრ კავშირის ყველა მშრომელთა საერთო ინტერესებს, დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა. ამიტომაც კავშირის საბჭოს ვირჩევთ ეროვნებათა მიუხედავად, 300 ათას მცხოვრებზე ერთ დეპუტატს. ეროვნებათა საბჭოს კი — ეროვნული ერთეულების მიხედვით — მოკავშირე რესპუბლიკიდან 25 დეპუტატს, ავტონომიური რესპუბლიკიდან — 11 დეპუტატს, ავტონომიური ოლქიდან — 5 დეპუტატს და ეროვნული ოკრუგიდან — თითო დეპუტატს. ეს დეპუტატები კანონის დადგენილას უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოხატავენ ეროვნულ თავისებურებებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ინტერესებს იმ ერებისა, რომელთა წარმომადგენლებიც ისინი არიან.

რაში გამოიხატება ერის ეს „სპეციფიკური, განსაკუთრებული" თვისებანი?

სსრ კავშირის ყოველ ერს თავისი ისტორია აქვს. იგი თავისი წარსული მდგომარეობით გარკვეულ ადგილს იკავებდა ძველ სახელმწიფოებრივ სისტემაში — იმყოფებოდა დაჩაგრულ, ან გაბატონებულ მდგომარეობაში და ამის მიხედვით მეტ-ნაკლებად განვითარებულიც იყო. პროლეტარული რევოლუციის შემდეგ შეიძლებოდა თუ არა ჩამორჩენილი და „ცენტრალური რუსეთის" ტერიტორიაზე მცხოვრები წინწასული ერებისათვის ერთიანა და იმავე, შაბლონური ხელმძღვანელობის გაწევა, მათთვის მათი თავისებურებების გაუთვალისწინებლად?

რასაკვირველია, არა. მათი სწრაფი ეკონომიური აღმავლობის მიზნით საჭირო იყო საკავშირო სახელმწიფოს მხრივ მეტი დახმარების გაწევა წინათ ჩამორჩენილი ერებისათვის. პარტიის X ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „პარტიის ამოცანაა დაეხმაროს არაველიკოროს ხალხთა მშრომელ მასებს დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ რუსეთს".

საბჭოთა სახელმწიფოში ამჟამად სოციალისტური ერები ცხოვრობენ. ჩვენს ქვეყანაში არც ერთი ერი ჩამორჩენილი აღარ არის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ეს ერები აბსოლუტურად გათანაბრებული არიან სამეურნეო და კულტურული მდგომარეობით, მათი განვითარების დონით, ეროვნული კადრების აღზრდით, ფსიქოლოგიით, ტრადიციებით, ჩვევებითა და ყოფაცხოვრებით. ეროვნებათა ყოველ ამ თვისებათა ასახვის მიზნით ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობაში ვირჩევთ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენელს. ამით ჩვენ ვაღწევთ ისეთი კანონის მიღებას, რომელიც ასახავს არა მარტო ყველა მშრომელის საერთო ინტერესს, არამედ ყველა ეროვნების სპეციფიკურ ინტერესებსაც. ამიტომ საბჭოთა კანონი ნამდვილად ხალხის ინტერესის ამსახველი, ყველას ნებისყოფის გამომხატველია. მიმდინარე არჩევნების დროს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით კავშირის საბჭოში სსრ კავშირის ტერიტორიაზე ავირჩევთ 700 დეპუტატს, ეროვნებათა საბჭოში კი 631 დეპუტატს.

სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოში მიმდინარე არჩევნებში შედარებით მეტი დეპუტატები უნდა ავირჩიოთ, ვიდრე მესამე მოწვევის დროს, რაც ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ზრდით არის გამოწვეული. პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მოსახლეობის წმინდა მატებამ შეადგინა 9 მილიონი 500 ათასი კაცი. ცხადია, მოსახლეობის ასეთ ზრდას კავშირის საბჭოს შემადგენლობის პროპორციული ზრდა უნდა გამოეწვია.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორპალატიანი სისტემა საბჭოთა სახელმწიფოში არსებობდა სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციითაც. პარტიის XII ყრილობის მითითების საფუძველზე ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორპალატიანი სისტემით ჩამოყალიბება დაამტკიცა სსრ კავშირის საბჭოების პირველმა ყრილობამ 1924 წლის 31 იანვარს.

ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით საბჭოთა კავშირში ეროვნული ინტერესი, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მოწყობის მიხედვით, კიდევ უფრო თანმიმდევრობით არის გადაჭრილი, ვიდრე სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით იყო. ცნობილია, რომ მაშინ ორი პალატისაგან შედგებოდა სსრ კავშირის ცაკ-ი, რომელიც პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული იყო სსრ კავშირის საბჭოების ყრილობის წინაშე. ამჟამად კი ახალი კონსტიტუციის მიხედვით ორი პალატისაგან შედგება უმაღლესი საბჭო, რომელიც არც ერთ სხვა ორგანოს არ ექვემდებარება და რომელიც თვით წარმომადგენს უმაღლეს სრულუფლებიან წარმომადგენლობითს ორგანოს.

საბჭოთა სახელმწიფოში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორპალატიანი სისტემის დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ პალატები უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში თანასწორუფლებიანი არიან. ორივე პალატა დაახლოებით თანასწორი შემადგენლობით არჩევა, ორივე პალატას თანაბრად ეკუთვნის საკანონმდებლო ინიციატივა, არჩეული ჰყავს ერთი და იმავე რაოდენობის მუდმივი კომისიები — საკანონმდებლო განზრახულობათა, საბიუჯეტო, საგარეო საქმეთა და საშინაო საქმეთა, აქვს უფლებამოსილების ერთი და იგივე ვადა, ორივე პალატის სესიები იწყება და თავდება ერთსა და იმავე დროს. კანონი დამტკიცებულად ითვლება, თუ იგი მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის მიერ თვითეული პალატის ხმის უბრალო უმრავლესობით და ა. შ.

სავსებით სხვა პრინციპზეა აგებული ორპალატიანი სისტემა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. იგი იქ არ ემყარება ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, არ იცავს ეროვნებათა განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ინტერესებს. ბურჟუაზიული კონსტიტუციები ემყარებიან იმ წანამძღვარს, რომ ერები და რასები არ შეიძლება თანასწორუფლებიანი იყვნენ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში არიან სრულუფლებიანი ერები და არიან არასრულუფლებიანი ერები.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში პალატები არ არიან თანასწორუფლებიანნი, არ იქმნებიან ერთი და იმავე წესით და, პირიქით, არიან ე. წ. „ქვედა" და „ზედა" პალატის სახით; ზედა პალატა ეწყობა უფრო არადემოკრატიული გზით და მას მეტი უფლებებიც აქვს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი შედგება წარმომადგენლობითი პალატისა და სენატისაგან, ინგლისის პარლამენტი — თემთა პალატისა და ლორდთა პალატისაგან, საფრანგეთის პარლამენტი — დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან და ა. შ. „სენატი" და „ლორდთა პალატა" ითვლებიან ზედა პალატებად, „წარმომადგენელთა პალატა", „თემთა პალატა" და „დეპუტატთა პალატა" კი ქვედა პალატებად. ზედა პალატა ბურჟუაზიულ ქვეყნებში წარმოადგენს „რეაქციის ცენტრს და წინსვლის საწინააღმდეგო მუხრუჭს".

ბურჟუაზიული დემოკრატიის ისედაც შეკვეცილი უფლებანი ზედა პალატის „არჩევისას" კიდევ უფრო მცირდება. ერთი სიტყვით, მეორე პალატა ეწყობა არადემოკრატიული გზით, ხშირად მისი წევრების ზევიდან დანიშვნის გზით. ამრიგად ორპალატიანი სისტემა ბურჟუაზიულ სამყაროში გადმონაშთია ფეოდალურ-წოდებრივი წყობილებისა, სადაც ზედა პალატა არისტოკრატიაა და უმაღლეს სასულიერო პირთა საკრებულო იყო. ორი პალატა ამჟამად ბურჟუაზიულ ქვეყნებში შექმნილია მხოლოდ იმ მიზნით, რომ მეორე პალატის ანუ ზედა პალატის მეშვეობით რეაქციულმა ბურჟუაზიამ შეაჩეროს ან უარყოს ქვედა პალატაში დამტკიცებული მისთვის თუნდაც ოდნავ მიუღებელი ესა თუ ის კანონი, თავი დაიზღვიოს ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, თუ ამომრჩეველთა მასების გავლენით ქვედა პალატაში კანონთა ერთგვარად პროგრესული ნორმა იქნება შემუშავებული.

ზედა პალატას აქვს სხვა უფლებამოსილებაც, როგორიც არის, მაგალითად, საერთაშორისო ხელშეკრულებათა დამტკიცება, უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა, პრეზიდენტისათვის თანხმობის მიცემა ქვედა პალატის ვადამდე დათხოვნის მიზნით და ა. შ.

ზედა პალატა რეაქციის ცენტრია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქვედა პალატა წარმოადგენს დემოკრატიულ ორგანოს. ორივე პალატა იქ ბურჟუაზიული ორგანოა, აქ ჩვენ მხოლოდ შედარებითობით განვსაზღვრავთ პალატათა მეტ-ნაკლებ რეაქციულ ბუნებას. თანამედროვე პერიოდში თვაშიზაციაქმნილ ბურჟუაზიულ ქვეყნებში „საარჩევნო" სისტემით, უამრავი ცენზების დაწესებით ხალხის მასების უდიდესი უმრავლესობა გამორიცხულია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან.

ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორპალატიანი სისტემა სრულებით არ ასახავს ხალხთა ეროვნულ ინტერესებს.

რაც შეეხება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, მის მხოლოდ ერთ პალატაში — ეროვნებათა საბჭოში 50-მდე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი შედის.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსათვის წელს ავირჩევთ 64 დეპუტატს, აქედან კავშირის საბჭოსათვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით — 12 დეპუტატს, ეროვნებათა საბჭოსთვის კი ეროვნულ სახელმწიფოებრივი ერთეულების მიხედვით: საქართველოს სს რესპუბლიკიდან 25

ყრილოგის დელეგატები მოგვითხრობენ

ჩვენი მთავარი საზრუნავი

სატრაქტორო სამუშაოთა 1953 წლის გეგმა ბადიაურელმა მექანიზატორებმა 102 პროცენტით შეასრულეს, თვითეულ ტრაქტორზე რბილ ხვნაზე გადაყვანით 418 ჰექტარის ნაცვლად გამოიმუშავეს 423 ჰექტარი. დავზოგეთ 32 ტონა საწვავი და გასული წელი დავამთავრეთ 15 ათასი მანეთის მოგებით. დიდი გადამეტებით გავანაღდეთ საგაზაფხულო ხვნის, თესვის, თივის, ოიბვის, მოსავლის აღების, საშემოდგომო ხვნის, ცხვრის მექანიზებული პარსვისა და სხვა სამუშაოები.

შრომაში თავი ისახელეს სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებმა ვ. ფილაურმა, ს. ოგანეზოვმა, ტრაქტორისტმა ვ. თეთრაძემ და სხვებმა.

ჩვენი გადაწყვეტილებაა მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში მივიღოთ 15 ცენტნერის ნაცვლად 17 ცენტნერი მარცვლეული, 50 ცენტნერის ნაცვლად 60 ცენტნერი ყურძენი, თვითეულ ჰექტარზე ერთი ცენტნერით გადავამეტოთ მზესუმზირის მოსავლიანობის დავალებას.

ხორბალს ძირითადად მზრალზე დავთესავთ ჯვარედინად და ვიწრომწკრივებად, ხოლო სიმინდსა და მზესუმზირას — კვადრატულ-ბუდობრივი წესით. მინდვრად გავიტანეთ 1.300 ტონა სასუქი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შემდეგ განსაკუთრებით გავაძლიერეთ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა. ერთ კოლმეურნეობაში უკვე დავამთავრეთ, ხოლო სამ კოლმეურნეობაში ვაშენებთ პირუტყვის ტიპიურ ბინებს. პირუტყვი ყველგან გადაყვანილია ბაგურ კვებაზე.

ვ. ზარდიაშვილი,
ბადიაურის მტს-ის დირექტორი.

დიდი ამოცანების წინაშე

ჩვენი კოლმეურნეები მთელი ენერგიით შრომობენ საზოგადოებრივი დოვლათის გამრავლებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის. შარშან თვითეულ კოლმეურნეს შრომადღეზე ერგო 5 კილოგრამი მარცვლეული, სხვა პროდუქტები და 4 მანეთი ფული.

კოლმეურნეობაში აღიზარდნენ უხვი მოსავლის ოსტატები. კოლმეურნეობა ე. ხუხია კარგად არის დაუფლებული ბოსტნეულის მოყვანის საქმეს. წაცვლად გეგმით გათვალისწინებული 90 ცენტნერისა ჰექტარზე მიიღო 207 ცენტნერი ბოსტნეული.

წელს ჩვენს კოლმეურნეობას მიცემული აქვს ახალი გადიდებული დავალება. კოლმეურნეობაში პირველად ვიწყებთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით სიმინდის თესვას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ სერიოზულად მოვკიდეთ ხელი მეცხოველეობას. მტს-ი გვეხმარება, მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვაში. საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით გაზაფხულზე 40 ჰექტარზე დავთესავთ სასილოსე სიმინდს, უზრუნველყოფთ თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი სასილოსე მასის მიღებას. აგრეთვე დავთესავთ საკვებ ჭარხალს და თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ 400 ცენტნერს, დიდად გავაფართოებთ ერთწლიანი ბალახების ნათესებს, მივაღწევთ იმას, რომ თვითეულ ძროხაზე უკვე წელს დავამზადოთ 5-6 ტონა სილოსი.

შ. ნინუა,
ცხკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის

25 წელია მექანიზატორად ვმუშაობ, აქედან უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში სატრაქტორო ბრიგადას ვხელმძღვანელობ.

კოლმეურნეებთან თანამეგობრობით წლითი-წლობით მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალი მოსავალი მოგვყავს. გასულ წელს 80 ჰექტარ ფართობზე მოვიყვანეთ სიმინდის ორჯერ უფრო მეტი მოსავალი, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა, ხოლო ერთნახევარჯერ მეტი ყურძენი.

ჩემს ბრიგადაში 12 მექანიზატორია, რომლებიც უზრუნველყოფენ 7 მძლავრი ტრაქტორის ორცვლიან მუშაობას. ნადეიდინსკის მტს-ის მექანიზატორთა მაგალითისამებრ ბრიგადის წევრები რამდენიმე წამყვან პროფესიას არიან დაუფლებულნი.

სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ჩვენ ვუწევთ მომსახურებას, ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა გურჯაანის რაიონში. გასულ წელს გამომუშავებულ თვითეულ შრომადღეზე გვერგო 3 კილოგრამამდე მარცვლეული, 2 კილოგრამი ყურძენი და სხვა პროდუქტები.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა სოფლის მექანიზატორებს ახალი დიდი ამოცანები დაგვაკისრა მოსავლიანობის ამაღლებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების დარგში და ჩვენც გულმოდგინეთ შევუდექით ამ ამოცანათა შესრულებას.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე სიმინდსა და მზესუმზირას მთლიანად მზრალზე დავთესავთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით. თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ გეგმიურ დავალებაზე 4 ცენტნერით მეტ პურს, 20 ცენტნერით მეტ ყურძენს, აგრეთვე ყველა სხვა კულტურის უხვსა და მყარ მოსავალს. ხორბალს მთლიანად პროგრესული წესით — ვიწრომწკრივებად და ჯვარედინად დავთესავთ.

ს. ნატრიაშვილი,
ვალისციხის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.



აჭარის ასსრ. მთელი წლის განმავლობაში მუშაობს საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმი მწვანე კონცხზე. ახლა აქ ახვენებს ურალიდან, ციმბირიდან და უკიდურესი ჩრდილოეთიდან ჩასულ მშრომელთა დიდი ჯგუფი. **სურათზე:** სანატორიუმის აივანზე. მარცხნიდან მარჯვნივ — ვ. ნ. გრიშკო ტაიმირიდან, ს. ნ. ლუკიანოვი ზაპოროჟიედან, ვ. პ. კარაჩევა ტაიმირიდან და ა. ა. სემიღლეტოვი სვერდლოვსკიდან.

ფოტო ვ. ბაბაიანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების ფესტივალი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონში წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების ფესტივალი. რაიონის კინოთეატრსა და სოფელ ჭკადუაშის, ჩხორიისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში მეჩაიეებს, მეცხოველეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს უჩვენეს კინოფილმები „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია“, „ჩაის კულტურა“, „მეფაქონლეობის ფერმები“ და სხვ.

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების ფართოდ დანერგვის მიზნით სოფლებში ეწყობა სასოფლო-სამეურნეო კინოფილმების ჩვენება. კოლმეურნეები, მექანიზატორები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტები ინტერესით ნახულობენ ფილმებს: „მეცხოველეობა“, „მემინდვრეობა“, „მეაბრეშუმეობა“, „უხვი წველადობის ოსტატი“.

ჰიათურის თეატრში

ჰიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ს. კლდიაშვილის „დღესასწაული საკრეულში“. სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცომაიამ, გაფორმა მხატვარმა მ. პაჭანდაძემ.

მონაწილეობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. ტყაბლაძე და მ. ვაშაძე, მსახიობები ა. ბარათაშვილი, მ. კუსიანი, გ. მოდებაძე, ა. მოსეშვილი, ვ. სვანელი, ვ. ვაშაძე და სხვ.

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

ბერლინი, 15 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს 11 საათზე გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის რეზიდენციაში გაიმართა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დახურული სხდომა. მინისტრები განაგრძობდნენ დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას — „საერთაშორისო ურთიერთობების დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი და საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა“.

ბერლინი, 15 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის რეზიდენციაში გაიმართა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა ჯ. დალესი.

მინისტრები განაგრძობდნენ დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვას — გერმანიის საკითხი და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები.

როგორც ცნობილია, დღის წესრიგის მეორე პუნქტის განხილვის მსვლელობაში საბჭოთა დელეგაციამ გერმანიის საკითხზე შეიტანა მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია დაჩქარდეს გერმანიის გაერთიანება დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე და დაიდოს მასთან საზავო ხელშეკრულება. მაგრამ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრებს არ წარმოუდგენიათ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების თავიანთი პროექტი და ამავე დროს უარს ამბობდნენ განეხილათ საბჭოთა კონკრეტული წინადადებანი გერმანიის საკითხზე.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაციამ, გაითვალისწინა რა, რომ შეიქმნა მდგომარეობა, როცა უნდა გადაწყდეს, თუ რა უნდა გაკეთდეს იმ პერიოდში, სანამ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება არ არსებობს, შეიტანა თავისი წინადადებანი, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე, აგრეთვე რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შესაქმნელად.

10 თებერვლის სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ მინისტრების თათბირის განსახილველად შეიტანა წინადადება „ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ“ და „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ ძირითადი პრინციპების პროექტი.

დღევანდელ სხდომაზე გაგრძელდა ხსენებული საბჭოთა წინადადებების განხილვა.

სიტყვა პირველმა აიღო ჟ. ბიდომ. თავის სიტყვაში იგი ცდილობდა გამოენახა ხელოვნური საბაბი, რათა უარეყო საბჭოთა წინადადებანი, რომელთა მიზანია პრაქტიკულად განხორციელდეს ევროპის ქვეყნების კოლექტიური უშიშროების იდეა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა. კერძოდ, მან თქვა, რომ კვლავ ბუნდოვანია, თუ როგორ უკავშირდება საბჭოთა წინადადების განხორციელება იმას, რომ ევროპაში არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც საგარეო პოლიტიკაში ახორციელებენ ნეიტრალიტეტს, აგრეთვე სახელმწიფოები, რომლებთანაც სსრ კავშირს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს. ბიდო შემდეგ ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა წინადადება წარმოადგენდეს ლოზუნგს „ევროპა ევროპელებისათვის“ განხორციელებას და თითქოს იწვევდეს ევროპის იზოლაციას მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან.

სულ უფრო არია რა განსახილველი საკითხი, ბიდომ განაცხადა, რომ თვით ტერმინი „ევროპა“ „ორაზროვანია“. ამ „ორაზროვნობად“ ბიდომ ის მიიჩნია, რომ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის ინტერესები სცილდება თვით ევროპის ფარგლებს.

ბიდოს აზრით, ევროპის ქვეყნების კოლექტიური უშიშროების იდეის განხორციელებას ის ფაქტი აფერხებს, რომ, როგორც ბიდომ თქვა, „დღეს ევროპა გაყოფილია“ და ევროპაზე გადის საზღვარი, რომელიც ორ ბანაკს ჰყოფს. ამასთან ბიდომ უგულებელყო საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ ევროპის გათიშვა შედეგია დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკისა, რომლის მიზანია შეიქმნას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფება და ეს დაჯგუფება დაუბირისპირდეს საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს. ბიდო ამტკიცებდა, რომ ემხრობა იმ ორი ბანაკის ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას, რომლებადაც მსოფლიო გაიყო.

„მინდა, — თქვა ბიდომ შემდეგ, ამას დაუმატო კიდევ რამდენიმე შენიშვნა, რომლებსაც საღი აზრი გვიკარნახებს“. ბიდოს ეს შენიშვნები იმით ამოიწურა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში თითქოს შექმნილი იყოს ეგრეთწოდებული „აღმოსავლეთის ბლოკი“, თუმცა ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობა და ურთიერთპატივისცემა, რომ ეს ქვეყნები არ შედიან რაიმე დაჯგუფებაში და რომ ისინი ისწრაფვიან იცხოვრონ მშვიდობიანად და მეგობრულად მსოფლიოს ყველა ხალხთან.

შეეხო რა საბჭოთა წინადადებებს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, ბიდომ განაცხადა, რომ ეს წინადადებანი თითქოს „საშუდაროს ხდიან“ გერმანიის გათიშვას. შემდეგ ბიდომ იკითხა, როგორ უნდა გავიგოთ „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ საბჭოთა პროექტის მე-7 მუხლი, რომლის თანახმადაც ხელშეკრულებას კისრულობენ არ მიიღონ მონაწილეობა რაიმე კოალიციასა ან კავშირში და არ დადონ არავითარი შეთანხმება, რომელთა მიზნები ეწინააღმდეგება ევროპის კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების მიზნებს. ბიდო ამტკიცებდა, რომ თითქოს ამ მუხლის ტექსტი ბუნდოვანი იყოს, და იკითხა, მიაჩნია თუ არა საბჭოთა დელეგაციას ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ საბჭოთა პროექტის შესაბამისად. მან განაცხადა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები „აფასებენ“ იმ კავშირებს, რომლებთაც ისინი დაკავშირებული არიან შეერთებულ შტატებთან. ბიდო ამტკიცებდა, რომ ამ კავშირების შემადგენლობაში საფრანგეთის შესვლა შეესაბამება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სახელშეკრულებო ურთიერთობას და რომ ეს კავშირები უზრუნველყოფენ ევროპის უშიშროებას. რაც შეეხება გერმანიას, ბიდომ კვლავ გაიმეორა, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დაჯგუფებაში საფრანგეთის შეყვანა თითქოს იმის გარანტია იქნებოდა, რომ აღარ გამეორდეს გერმანიის აგრესია.

შემდეგ გამოვიდა ა. იდენი. მან თათბირს მოაგონა ვ. მ. მოლოტოვის გუშინდელი განცხადება, რომელშიც მოლოტოვმა უარყო მტკიცებანი, თითქოს საბჭოთა წინადადება „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების თაობაზე წინასწარ ბირობად მოითხოვდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ლიკვიდაციას. იდენმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება შეუთავსდეს ეს განცხადება ხსენებული წინადადების პროექტის მეშვიდე მუხლს.

დაიმოწმა რა ის, რომ საბჭოთა წინადადება არ ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის შესვლას ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების მონაწილეთა შემადგენლობაში, იდენი ამტკიცებდა, რომ თითქოს ამ წინადადების მიზანია დასავლეთის „თავდაცვითი“ სისტემის ლიკვიდაცია. ამავე დროს, განაგრძობდა იდენი, საბჭოთა კავშირს სურს შეინარჩუნოს „უშიშროების საბჭოთა სისტემა“ აღმოსავლეთ ევროპაში.

ასეთი დამახინჯებული სახით დაუბატა რა თათბირს საბჭოთა წინადადების ნამდვილი მიზნები, იდენმა კვლავ გაიმეორა, რომ ინგლისი მზად არის გააგრძელოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ამრიგად, იდენი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თითქოს შესაძლოა ერთი მხრივ ხელი შეეწყოთ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფების შექმნას რეგიონალურ-ბუნებრივ დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, და მეორე მხრივ შეეთავსოთ იგი ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან, რომელიც მიმართულია გერმანიის აგრესიის განახლების წინააღმდეგ. იდენმა დუმილით აუარა გვერდი იმ საკითხს, თუ როგორ შეასრულებს ინგლისი თავის სამოკავშირეო ვალდებულებებს როცა იგი ამავე დროს მხარს უჭერს დასავლეთ გერმანიის რეგიონალიზაციის გეგმებს.

იდენმა აღიარა, რომ საბჭოთა კავშირს აქვს საფუძველი დააყენოს თავისი უშიშროების საკითხი და რომ არ შეიძლება ამ საკითხის უგულებელყოფა, მაგრამ ამავე დროს იგი კვლავ ამტკიცებდა, რომ თითქოს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებასთან ერთად უზრუნველყოფენ ყველა ქვეყნის უშიშროებას. მან დაიმოწმა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მაგრამ არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ ამ ორგანიზაციის არსებობისას დასავლეთ ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ რატომ შექმნა ეგრეთწოდებული „თავდაცვითი“ დაჯგუფება.

შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა. იგი შეჩერდა იმ შენიშვნებზე, რომლებიც გაკეთეს დისკუსიის მსვლელობაში „ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის“ საბჭოთა წინადადებისა და „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ საბჭოთა პროექტის შესახებ. ამ ორ დოკუმენტს ერთ-ერთ მხრივ ხელი შეეწყოთ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფების შექმნას რეგიონალურ-ბუნებრივ დასავლეთ გერმანიის მონაწილეობით, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, და მეორე მხრივ შეეთავსოთ იგი ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან, რომელიც მიმართულია გერმანიის აგრესიის განახლების წინააღმდეგ. იდენმა დუმილით აუარა გვერდი იმ საკითხს, თუ როგორ შეასრულებს ინგლისი თავის სამოკავშირეო ვალდებულებებს როცა იგი ამავე დროს მხარს უჭერს დასავლეთ გერმანიის რეგიონალიზაციის გეგმებს.

იდენმა აღიარა, რომ საბჭოთა კავშირს აქვს საფუძველი დააყენოს თავისი უშიშროების საკითხი და რომ არ შეიძლება ამ საკითხის უგულებელყოფა, მაგრამ ამავე დროს იგი კვლავ ამტკიცებდა, რომ თითქოს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებასთან ერთად უზრუნველყოფენ ყველა ქვეყნის უშიშროებას. მან დაიმოწმა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მაგრამ არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ ამ ორგანიზაციის არსებობისას დასავლეთ ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ რატომ შექმნა ეგრეთწოდებული „თავდაცვითი“ დაჯგუფება.

შემდეგ სიტყვა აიღო ვ. მ. მოლოტოვმა. იგი შეჩერდა იმ შენიშვნებზე, რომლებიც გაკეთეს დისკუსიის მსვლელობაში „ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის“ საბჭოთა წინადადებისა და „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ საბჭოთა პროექტის შესახებ. ამ ორ დოკუმენტ ერთ-ერთ მხრივ ხელი შეეწყოთ დასავლე

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირი

(დასასრული)

სახელმწიფოს მთავრობათა თვალსაზრისი. ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევთანხმდით გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხში. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ყველა სხვა საკითხშიც ვერ მივიღებთ ვერავითარ ღონისძიებას, რომელიც რამდენადმე დააკმაყოფილებდა გერმანელ ხალხს და ხელს შეუწყობდა ევროპის მშვიდობის ინტერესებს? მე ვფიქრობ, რომ ასეთი დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ. გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა ურთიერთ შეთანხმებული პირობებით, ვფიქრობ, მისაღები იქნებოდა ოთხივე სახელმწიფოსათვის და ტვირთს შეუმსუბუქებდა გერმანელ ხალხს, რასაც იგი დაუყოვნებლივ იგრძნობდა. რატომ არ უნდა შევისწავლოთ ეს საკითხი უფრო კონკრეტულად და არ გამოვარკვიოთ, თუ რა პირობებში იქნებოდა მისაღები ოთხივე სახელმწიფოსათვის საოკუპაციო ჯარების გაყვანა გერმანიიდან?

შეეხო რა ბიდოს შენიშვნას, თითქოს საბჭოთა წინადადება გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ ამავე დროს ითვალისწინებს ოთხმხრივი კონტროლის დაწესებას და სამოკავშირეო საკონტროლო საბჭოს აღდგენას, ვ. მ. მოლოტოვმა თქვა: ეს მხოლოდ გაუგებრობაა. ჩვენ მზად ვართ უარი ვთქვათ ჩვენს იმ წინადადებაზე, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში შეიქმნას ოთხი სახელმწიფოს ინსპექტორთა ჯგუფები, თუ ეს წინადადება მიუღებელია. დაე დასავლეთ გერმანიაში იყოს თავისი კონტროლი, ხოლო აღმოსავლეთ გერმანიაში — თავისი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინტერესების შეთანხმება შეიძლება უზრუნველყოთ ოთხმხრივი კონტროლის დაწესებით გერმანიის ყველა ნაწილისათვის, მაგრამ, თუ ეს მიუღებელია, ჩვენ ამას დაკნინებით არ მოვითხოვთ.

იქნებ, განაგრძო ვ. მ. მოლოტოვმა, არ მიაჩნიათ საჭიროდ საკონტროლო ორგანო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ გერმანიაში? განვიხილოთ ეს საკითხიც. ჩვენ გვსურს, რომ შემოიტანონ კონკრეტული წინადადებანი ამ საკითხზე. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი გადაჭრით წინააღმდეგია იმისა, რომ აღდგენილ იქნას საკონტროლო საბჭოს მსგავსი რამ. ამ საბჭოს არსებობა უკვე განვლილი ეტაპია.

შემდეგ ვ. მ. მოლოტოვი შეეხო „ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ“ საბჭოთა წინადადების მესამე პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს, რომ გერმანია, სანამ ოთხი სახელმწიფო ვერ შეთანხმდება საზავო ხელშეკრულებაზე, შეუიარაღებელი დარჩეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის ნეიტრალიზაცია, ყოველ შემთხვევაში განსაზღვრული უახლესი დროის განმავლობაში, და რომ ევროპის სახელმწიფოებმა დადონ ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ.

ჩვენ ვაყენებთ, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, უბრალო საკითხს: რატომ არის შესაძლებელი ამერიკის სახელმწიფოთა კავშირი და რატომ არ შეიძლება იყოს სრულიად ევროპის კავშირი? ამბობენ, რომ ამერიკის სახელმწიფოთა კავშირი არ ეწინააღმდეგება გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, რომ იგი რეგიონალური გაერთიანებაა, ხოლო სრულიად ევროპის კავშირი თითქოს ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს. მაგრამ რატომ არის, რომ ერთ შემთხვევაში შესაძლებელია განსაზღვრული კონტინენტის ქვეყნების რეგიონალური გაერთიანება, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი შეუძლებელია?

შეეხო რა ბიდოს შენიშვნას იმის შესახებ, რომ ევროპაში არის ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც არა აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა სსრ კავშირთან, აგრეთვე ისეთი სახელმწიფოები, რომლებმაც ნეიტრალიტეტის პოლიტიკა გამოაცხადეს, და რომ მათი მდგომარეობა განზრახული სრულიად ევროპის ხელშეკრულების მიმართ გაურკვეველია, მოლოტოვმა თქვა, რომ ეს საკითხები შეიძლება დამატებით დაზუსტდეს ოთხივე სახელმწიფოსათვის მისაღებ საფუძველზე. შემდეგ ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ თათბირზე კრიტიკა გამოიწვია „სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ საბჭოთა პროექტის მეცხრე პუნქტმა, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ხელშეკრულების შესაბამისად შექმნილ ორგანიზაციებში წარგზავნოს თავისი წარმომადგენლები, როგორც მეთვალყურენი. იქნებ, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, შეიძლებოდეს სხვანაირად ჩამოყალიბდეს ეს პუნქტი, სხვანაირად განისაზღვროს ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებული მდგომარეობა, ანდა სულ გამოირიცხოს ეს პუნქტი. ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ ისეთი წინადადებანი, რომლებიც ყველას დააკმაყოფილებს. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ამ შემთხვევაში ამ პუნქტის მარტოოდენ კრიტიკას კი არ დავჯერდეთ, არამედ შევიტანოთ კონსტრუქტიული წინადადებანი.

ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საკმაოდ ნათელი როდია იდენის შენიშვნა კანადის შესახებ. კანადა, როგორც ცნობილია, არ შედის ამერიკის სახელმწიფოთა კავშირში. მაგრამ, როგორც ჩანს, შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ იგი შედიოდეს სრულიად ევროპის კავშირში. მოდით ეს წინადადებაც განვიხილოთ, თუმცა საბჭოთა დელეგაციისათვის იგი რამდენადმე მოულოდნელია.

ბიდოს შენიშვნის თაობაზე, რომ მსოფლიოში ორი ბანკი არსებობს, ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, ეს ისეთი ფაქტია, რომელიც ძნელია არ ვაღიაროთ. არის ქვეყნების ჯგუფი, რომელსაც ერთი საზოგადოებრივი წყობილება აქვთ და გეგმიან მეურნეობას ეწევიან, და ქვეყნების მეორე ჯგუფი, რომელთაც აქვთ მეურნეობის ძველი სისტემა, სხვა საზოგადოებრივი წყობილება. ასეთია მდგომარეობა მე-20 საუკუნის შუა ხანებში, და, ჩემი აზრით, არ მოიპოვება ისეთი ძალები, რომლებსაც შეეძლოთ შეცვალონ ეს მდგომარეობა და დაგვაბრუნონ, ვთქვათ, მე-19 საუკუნეში, როცა ასეთი მდგომარეობა არ იყო.

უპასუხა რა შენიშვნებზე, თითქოს არსებობდეს „აღმოსავლეთის ბლოკი“, ვ. მ. მოლოტოვმა გააფრთხილა სხდომა წინასწარ შედგენილი აზრით არ მიუდგეს ამ საკითხის განხილვას. თუ კარგი ურთიერთობაა ისეთ ქვეყნებს შორის, როგორიც არიან სსრ კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და სხვა ქვეყნები, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, ამაში საძრახისი არაფერია. რადგან ამ ურთიერთობას უწინარეს ყოვლისა საფუძვლად უდევს მისწრაფება მშვიდობის დაცვისადმი, იმისადმი, რომ ნორმალური წესით მოვაგვაროთ დავა სახელმწიფოთა შორის და თავიდან ავიცილოთ ახალი ომის საფრთხე. ასეთი ურთიერთობის არსებობა არავის არ ეშურება. ამ სახელმწიფოთა შორის მოკავშირეობის ხელშეკრულებანი მიმართულია ან გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობის წინააღმდეგ, ან იაპონიის მხრივ ახალი აგრესიის შესაძლებლობის წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა და განვითარდეს ნორმალური პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა ურთიერთობა როგორც ამ სახელმწიფოებს შორის, ისე ყველა სხვა სახელმწიფოსთან.

ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე ბიდო მიეჭრა სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა თანაარსებობის პრინციპს. მე მგონია, ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა ვ. მ. მოლოტოვმა, არც ერთი ქვეყანა არ უნდა ერეოდეს სხვა ქვეყნების საქმეებში. ეს არის სახელმწიფოთა ნორმალური თანაარსებობის ერთადერთი სწორი პრინციპი, მათ შორის იმ სახელმწიფოებისა, რომელთაც სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილება აქვთ. სწორედ ამიტომ მოვითხოვთ, რომ ევროპის ყველა ქვეყანა, და არა მარტო ევროპისა, მშვიდობის შენარჩუნების საქმეში უნდა მივიჩნიოთ არა როგორც ორი ბანაკი, არამედ როგორც ერთი ბანაკი. თუ სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წყობილების მხრივ ორი ბანაკი არსებობს, მშვიდობის შენარჩუნების საკითხში მაინც უნდა ვიცავდეთ ერთიანი ბანაკის პრინციპს. სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად „კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის ხელშეკრულებას“. ჩვენ წინადადება შემოგაქვს კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულება დაიდოს ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის, რომელიც კი მოისურვებს ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობას, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, ასეთია ჩვენი წინადადების ამოსავალი პუნქტი.

ბ-ნმა ბიდომ, განაგრძო ვ. მ. მოლოტოვმა, ითხოვა გაგვეცა პასუხი, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული „კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის ხელშეკრულება“. მან თქვა, რომ ეს ხელშეკრულება მიმართულია ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ; იგივე თქვა ბ-ნმა იდენმა.

უნდა ვთქვა, რომ საკითხის ასეთი დაყენება ასახავს დეზინფორმაციას, რომელსაც პრესის მთელი რიგი ორგანოები ავრცელებენ, მაგრამ არ შეესაბამება ნამდვილ მდგომარეობას. ვუპასუხებ პირდაპირ ბ-ნ ბიდოს კითხვაზე, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული „სრულიად ევროპის ხელშეკრულება“. იგი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ალტერნატივაა იმიტომ, რომ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ შეთანხმების მიზანია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება. ჩვენ კი გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგი ვართ და ვფიქრობთ, რომ საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები ავრეთვე დაინტერესებული არიან იმით, რომ არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა.

შეეხო რა საკითხს, არის თუ არა „სრულიად ევროპის ხელშეკრულება“ მიმართული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ, ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, რომ საჭიროა კონკრეტულად გავერკვეთ, სად, რაში და რა სახეობის ხელშეკრულებათა წინააღმდეგ არის მიმართული „სრულიად ევროპის ხელშეკრულება“ და შეეცადნენ ეს საკითხი. ეს ხელშეკრულება, როგორც უკვე აღინიშნა, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ალტერნატივაა. გვეუბნებოდნენ, „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“ იმიტომ შედიან, რომ ალტერნატივა არ არსებობს. ჩვენ ვუპასუხებთ: ასეთი ალტერნატივა არსებობს და გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება „ევროპის კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ ჩვენს პროექტს. ეს ხელშეკრულება შეესაბამება არა მარტო იმ სახელმწიფოთა ინტერესებს, რომლებიც წინათაც, ომის დროს, ჩვენთან ერთად იყვნენ. იგი შეესაბამება აგრეთვე გერმანელი ხალხის ინტერესებს, რადგან უშიშროების სრულიად ევროპის სისტემაში გერმანიის შესვლის საკითხის გადაწყვეტას კი არ აყოვნებს, არამედ ახლავე აძლევს შესაძლებლობას გერმანიის ორივე ნაწილს შეკიდნენ სრულიად ევროპის ამ გაერთიანებაში.

მოდით, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, რაც შეიძლება მალე განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა დაიდოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება, რათა გერმანია გაერთიანდეს, და მაშინ გაერთიანებულ გერმანიას შესაძლებლობა მიეცეს მოიდოს მონაწილეობა ამ შეთანხმებაში როგორც მისმა თანასწორუფლებიანმა წევრმა.

აქ მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა სრულიად ევროპის ხელშეკრულების საბჭოთა პროექტის 9, 7 და 10 პუნქტების შესახებ, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა. თუ საჭიროა, მზადა ვართ განვიხილოთ პროექტის ეს და სხვა პუნქტები, აგრეთვე შესწორებანი, რომლებიც შეიძლება შემოიტანონ ამ პუნქტების გასაუმჯობესებლად, ისე რომ ეს პუნქტები ასახავდნენ პოზიციას, რომელიც შეესაბამება ოთხი სახელმწიფოს საერთო თვალსაზრისს.

ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა შენიშვნები იმის შესახებ, რომ „სრულიად ევროპის ხელშეკრულებამ“ შეუძლია გამოიწვიოს ევროპის სისტემაში ერთი სახელმწიფოს ბატონობა სხვა სახელმწიფოებზე. თუ ასეთი შიში არსებობს, თქვა ვ. მ. მოლოტოვმა, — მზადა ვართ განვიხილოთ წინადადებანი, რომელთა მიზანია არ დაუშვან ევროპის ერთი სახელმწიფოს ბატონობა მეორეზე, მზადა ვართ გავაქარწყლოთ ასეთი შიში. ილაპარაკა რა ბიდოს შენიშვნაზე, რომ საფრანგეთის პოლიტიკა შუდამ მხარს უჭერდა კოლექტიური უშიშროების იდეას, ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, თუ ეს ასეა, მაშ საფრანგეთის მთავრობა რატომ არ გამოიყენებს ამ პრინციპს ამ შემთხვევაშიც, როცა შემოტანილია გარკვეული კონკრეტული წინადადება ევროპის კოლექტიური უშიშროების იდეის განხორციელების შესახებ. სწორედ საფრანგეთის მხრივ იყო მოსალოდნელი განსაკუთრებული თანაგრძნობა ამ წინადადებისადმი.

ბ-ნმა ბიდომ, თქვა შემდეგ მოლოტოვმა, ვარაუდეული შეკითხვა მოიტა, რომელზეც ვეცადე ნათელი პასუხი გამეცა. მეც მინდა შეკითხო ბ-ნ ბიდოს, ბ-ნ იდენსა და ბ-ნ დალესს, მისაღებია თუ არა მათთვის თვით იდეა ევროპის კოლექტიური უშიშროებისა? კოლექტიური უშიშროების იდეას ემხრობიან თუ მისი წინააღმდეგი არიან საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები? თუ ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის ჩვენი პროექტი საგარისი არ არის, გთხოვთ სხვა წინადადება შემოიტანოთ ამ იდეის განსახორციელებლად. საჭიროა შევთანხმდეთ, რომ თვით ევროპის კოლექტიური უშიშროების იდეას ახლა არც ერთი ჩვენგანი არ უარყოფს. თუ ყველა ჩვენგანი, თქვა დასასრულ ვ. მ. მოლოტოვმა, ამ იდეის მომხრეა, საქმე კონკრეტული ფორმულებითია ამოიწურება, რომლებიც შეგვეძლო შეგვეთანხმებინა ჩვენი სურვილებისათვის და რომლებიც ყველა ჩვენგანს დაკმაყოფილებდა.

ვ. მ. მოლოტოვის შემდეგ ილაპარაკა დალესმა, რომელმაც თავი აარიდა იმას, რომ ნათელი პასუხი გაეცა მოლოტოვის მიერ დასმულ კონკრეტულ კითხვაზე — ევროპის კოლექტიური უშიშროების იდეას ემხრობიან თუ მისი წინააღმდეგი არიან ამერიკის შეერთებული შტატები. დალესმა ილაპარაკა მთელი მსოფლიოს კოლექტიურ უშიშროებაზე, ატლანტიკის ქარტიაზე, გაერთიანებული ერების წესდებაზე, მაგრამ მაინც არ გაუცია პასუხი საბჭოთა დელეგაციის კითხვაზე. მან განაცხადა, რომ თუ გვინდა ბოლო მოვიღოთ ევროპის გათიშვას, ბოლო უნდა მოვუღოთ გერმანიის გათიშვასთ. იგი ამტკიცებდა, რომ ამ ამოცანის გადაჭრის გზა ნაჩვენებია იდენის გეგმაში გერმანიის საკითხზე, თუმცა როგორც საბჭოთა დელეგაციამ დისკუსიის მსვლელობაში ცხადყო ნამდვილად ამ გეგმის მიზანია — მუდმივი გახდეს გერმანიის გათიშვა და მოხდეს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია.

დალესის შემდეგ ილაპარაკა ბიდომ, რომელმაც აგრეთვე არ გასცა პირდაპირი პასუხი კითხვაზე, მხარს უჭერს თუ არა საფრანგეთის მთავრობა ევროპის კოლექტიური უშიშროების იდეას. მან განაცხადა, რომ, მისი აზრით, არ შეიძლება იყოს მარტო ერთი კონტინენტის ან ქვეყნის მარტო ერთი ნაწილის კოლექტიური უშიშროება.

სხდომის დასასრულს მინისტრებმა განიხილეს თავიანთი შემდგომი მუშაობის დღის წესრიგი. ვ. მ. მოლოტოვმა იკითხა, მიიღო თუ არა ავსტრიის დელეგაციამ რწმუნება, რომ პასუხი გასცეს საბჭოთა წინადადებებზე ავსტრიის საკითხის შესახებ. იდენმა შეიტანა წინადადება, რომ შემდეგ სხდომაზე გაგრძელდეს ავსტრიის საკითხის განხილვა, თუ ავსტრიის დელეგაციამ უკვე მიიღო ეს რწმუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი განხილულ იქნას გერმანიის საკითხი. ამ წინადადების წინააღმდეგ არავინ წასულა.

ამით დაიხურა სხდომა.

უთანხმოებანი საფრანგეთის მთავრობაში

პარიზი, 15 თებერვალი. (საკდესი). პარიზის პრესის ცნობები მოწმობენ, რომ მინისტრთა საბჭოს 13 თებერვლის სხდომაზე თავი იჩინა სერიოზულმა უთანხმოებამ იმ საკითხთა გამო, რომლებიც დაკავშირებულია „ევროპის თავდაცვითი გაერთიანებასთან“ და პოლიტიკასთან ინდოჩინეთში.

გაზეთი „ფრან-ტირერი“ წერს, რომ უპორტფელო მინისტრმა გენერალმა კონინგჰამ-მოლნიემ („სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირი“) სხვა მინისტრებს სახელით, რომლებიც ამავე ჯგუფს ეკუთვნიან, წაიკითხა განცხადება, რომელშიც აღნიშნული „სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირის“ დამოკიდებულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანებისადმი“.

მან დაადასტურა, რომ დეგოლელი მინისტრები გადადგებიან, თუ მთავრობის მეთაური ლანიელი დაიცავს პარიზის ხელშეკრულების პროექტს.

ასეთივე პოზიცია დაიკავა ამ საკითხში მიმპრობილი სახელმწიფოების საქმეთა მინისტრმა ეაკინომ („დამოუკიდებელი“).

„ჯერ არასოდეს, — წერს „ფრან-ტირერი“, — მინისტრებს ისე არ უგრძვნიათ, როგორც მინისტრთა საბჭოს 13 თებერვლის სხდომაზე, თუ რამდენად არამტკიცე და გათიშულია მთავრობა ისეთ სერიოზულ საკითხებში, როგორიც არის ევროპის არმია და ინდოჩინეთი... მთავრობის ბედი დამოკიდებულია ბერლინის თათბირზე. არასოდეს საგარეო პოლიტიკას ასე არ დაუჩრდილავს საშინაო პოლიტიკა“.

გაზეთი წერს, რომ მთავრობის ახალი კრიზისის მომწიფების ნიშნებმა ახლა თავი იჩინა თვით მთავრობაში.

გენერალ ლი სან ჩოს პროტესტი

პეკინი, 15 თებერვალი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონდან გადმოგვცა, რომ კორეის სახალხო არმიის და ჩინელ სახალხო მოხალისეთა წარმომადგენელმა გენერალმა ლი სან ჩომ ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის თავმჯდომარის გენერალ ტომაიას სახელზე გაგზავნილ წერილში ნეიტრალურ სარეპატრიაციო კომისიას პროტესტი განუცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ამ კომისიამ გადაწყვიტა დაუბრუნოს ამერიკის მხარეს 17 აგენტი — იმ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა მკვლელები, რომლებმაც რეპატრიაცია მოითხოვეს.

ნეიტრალურ სარეპატრიაციო კომისიას, ნათქვამია წერილში, დაპატიმრებული ჰყავს 17 დამნაშავე, რომლებმაც მოკლეს რამდენიმე სამხედრო ტყვე. კომისიამ მოამზადა და კიდეკაც დაიწყო მათი გასამართლება. ყველასთვის ცნობილია, რომ 17-ვე ამ დამნაშავემ დახოცა ჩვენი მხარის სამხედრო ტყვეები გაერთიანებული ერების ჯარების სარდლობის მითითებით. მათი დანაშაულობანი აღმაშფოთებელი და სავსებით დამტკიცებულია. მაგრამ 1954 წლის 23 იანვრიდან ნეიტრალურმა სარეპატრიაციო კომისიამ ვერასგზით ვერ აღკვეთა საბოტაჟი და სხვადასხვა დაბრკოლება, რასაც მიმართავს გაერთიანებული ერების სარდლობა, რის შედეგადაც მეტი წილი ზემო აღნიშნული მკვლელები არ მიუცია სამართალში, ხოლო ზოგიერთი მათგანის გასამართლება შეწყდა.

ვილჰელმ პიკის გამოსვლა რადიოთი

ბერლინი, 12 თებერვალი. (საკდესი). ადნ-ის საგენტო იუწყება:

გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოთი მიმართა გერმანელ ხალხს:

„ძვირფასო თანამემამულენო ჩვენი გერმანული სამშობლოს აღმოსავლეთსა და დასავლეთში!

ძვირფასო გერმანელო ახალგაზრდობავ!

ჩვენი ხალხის ბედისათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამბები და მისი მომავლისათვის ზრუნვა მავალებს გამოვიდე საჯაროდ. მშრომელი და მშვიდობისმოყვარე მოსახლეობა ერთსულოვნად მოითხოვს, რომ ოთხი სახელმწიფოს თათბირმა განიხილოს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულება გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. გერმანელთა ამ მოთხოვნას დასავლეთის სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ანგარიში არ გაუწიეს. ისინი იცავენ ბონსა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებებს, რომლებიც შეუთავსებელია საზავო ხელშეკრულებასთან. პარიზის ხელშეკრულება ევროპის არმიის შესახებ არსებითად ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის მხოლოდ სამხედრო დამატებაა ევროპის კონტინენტზე.

კონტინენტზე სახელმწიფოთა დამოკიდებული ჯგუფის შექმნით ევროპა ითიშება, და სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი უპირისპირდება სხვა სახელმწიფოებს, არამედ აგრეთვე გერმანიის ერთი ნაწილი — მეორე ნაწილს. პარიზის სამხედრო პაქტის ამერიკელ ინიციატორთა ნებით დასავლეთი გერმანია უნდა გადაიქცეს სამანევრო ტერიტორიად და ევროპის არმიის წინა ხაზად. ეს იქნებოდა მომაკვდინებელი საფრთხე გერმანელი ერისათვის. სამხედრო ბლოკების პოლიტიკის შედეგად გერმანელ ხალხს ორჯერ დაატეხეს თავს კატასტროფა: პირველად — ვილჰელმ II-ის სამთა კავშირის შედეგად და მეორედ — ჰიტლერის ანტიკომინტერნული პაქტის შედეგად. თუ სამხედრო ბლოკის, ესე იგი ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტისა და ევროპის არმიის პოლიტიკას მესამედ მოჰყვა ევროპის ომი, ეს დაუყოვნებლივ გამოიწვევს კატასტროფას გერმანელთა მიწა-წყალზე.

მაშასადამე, რა უნდა ვქნათ იმისათვის, რომ გერმანელ ხალხს ავაცილოთ ეს საფრთხე? საჭიროა ბოლო მოეღოს სამხედრო ბლოკებისა და სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ შეიარაღების პოლიტიკას. ევროპის გათიშვისა და გაყოფის პოლიტიკის ნაცვლად უნდა განხორციელდეს პოლიტიკა ევროპის ყველა სახელმწიფოს გაერთიანებისა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ასეთია საბჭოთა კავშირის მთავრობის იმ წინადადების აზრი, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმა გადასცა ოთხი სახელმწიფოს თათბირს. ეს სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ ევროპის ნამდვილი მშვიდობის პაქტია. იგი უზრუნველყოფს ევროპის ყველა ხალხის უშიშროებას და საშუალებას აძლევს მათ ერთობლივად დაიცვან თავი ყველა იმათგან, ვინც ცდილობს აგრესიული პოლიტიკის გზით გაიჩაღოს ევროპაში ახალი ომი. იგი ხელს უწყობს ურთიერთ ნდობის ატმოსფეროს შექმნას ევროპაში და ხალხთა მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

თუ მშვიდობა ევროპაში უზრუნველყოფილ იქნა სრულიად ევროპის ხელშეკრულებით კოლექტიური უშიშროების შესახებ, ამით ჯერ კიდევ დღეს გათიშულ გერმანიას გარანტირებული ექნება მშვიდობა და ურთიერთშეთანხმების რეალური შესაძლებლობა. და ეს მით უმეტეს, რომ საბჭოთა წინადადება ითვალისწინებს, რომ გერმანია — როგორც სავსებით თანასწორუფლებიანი პარტნიორი — შეუერთდება ევროპის მშვიდობის პაქტს.

იმ ფაქტის გამო, რომ გერმანია ჯერ კიდევ გათიშულია და დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ჯერაც არ განუცხადებიათ, რომ თანახმა არიან აწარმოონ მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ, ეს შეიძლება მოხდეს უწინარეს ყოვლისა მხოლოდ იმ გზით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა თანასწორუფლებიანად შეუერთდებიან სრულიად ევროპის ხელშეკრულების კოლექტიური უშიშროების შესახებ. ასეთი ნაბიჯი მხოლოდ შეიწყობდა ხელს გერმანიის ერთიანობის მშვიდობიან აღდგენას. საბჭოთა წინადადება ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ შემდეგ ითვალისწინებს, რომ ექვსი თვის განმავლობაში გერმანიის ორივე ნაწილიდან გაიყვანენ უცხოეთის საოკუპაციო ჯარებს. ამჟამად არსებული გერმანიის ორივე სახელმწიფოს შინაგანი უშიშროება უნდა უზრუნველყონ პოლიციის ნაწილებმა, რომელთა რაოდენობის შესახებ შეთანხმდება ოთხი სახელმწიფო და რომელთა საქმიანობას მეთვალყურეობას გაუწევენ საინსპექციო ჯგუფები ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ძვირფასო თანამემამულენო ჩვენი გერმანული სამშობლოს აღმოსავლეთსა და დასავლეთში! ჩვენი გერმანული სამშობლო ევროპის შუაგულშია. რა თქმა უნდა, სრულიად ევროპის ხელშეკრულებამ კოლექტიური უშიშროების შესახებ გერმანიაზეც უნდა გაავრცელოს თავისი კეთილმყოფელი გავლენა. თუ ჩვენ გავთავისუფლდებით საომარი მოქმედების საფრთხისაგან, თუ უცხოეთის საოკუპაციო ჯარებს გაიყვანენ და ლაკვიდირებული იქნება უცხოეთის სამხედრო დასაყრდენი პუნქტები, მაშინ შეიქმნება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების ახალი საიმედო წინაპირობები. თუ აღმოიფხვრება ომის გერმანელი და უცხოელი გამჩაღებლების გავლენა, ჩვენი გერმანელი ხალხი უფრო მალე იპოვნის ურთიერთგაგებისა და ერთიანობის გზას.

მშვიდობის პაქტის საშუალებით გაერთიანებულ ევროპაში არც გერმანია დარჩება გათიშული. შეგვიძლია სავსებით დარწმუნებული ვიყოთ, რომ ასეთ ევროპაში გამოინახება გერმანიის საკითხის დამაკმაყოფილებელი გადაჭრა, რომელიც საკმაოდ შეეესაბამება ჩვენი გერმანელი ხალხის ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და ევროპის ყველა ხალხის უფლებებისა და უშიშროების შენარჩუნებას. ეს არის ომის დამაჯერებელი მიზეზი, რომ ჩვენ, გერმანელები, მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს ერთიანობის ინტერესებისათვის მთელი ძალღონით ვუჭერთ მხარს საბჭოთა წინადადებებს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. ომს მოწყურებული იმპერიალისტები და მილიტარისტი რევანშიერები, რა თქმა უნდა, ღრიანცელს ატეხენ ევროპის მშვიდობის პაქტის დიადი გეგმის წინააღმდეგ, მაგრამ არავინ არ უნდა დაივიწყოს, რომ XX საუკუნეში ხალხთა ნება გადამწყვეტი ძალა გახდა საერთაშორისო პოლიტიკაშიც. გერმანელებო, არ ჩამორჩეთ სხვა ხალხებს მშვიდობისათვის ბრძოლაში. მე მოვუწოდებ მთელ ხალხს გადაჭრით იბრძოლოს ევროპის კოლექტიური უშიშროებისა და მტკიცე მშვიდობისათვის. კიდევ უფრო ენერგიულად და გაბედულად ვიბრძოლოთ სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისა და სრულიად გერმანიის შეთანხმებისათვის. მაშინ ჩვენ შევძლებთ, ყველა სიძნელისა და დაბრკოლების მიუხედავად, შევქმნათ გაერთიანებული გერმანია მშვიდობიან ევროპაში“.

შვეიცარიის გაზეთები ფალუნში მოთხილამურეთა შეჯიბრების შესახებ

სტოკჰოლმი, 15 თებერვალი. (საკდესი). სტოკჰოლმის ყველა გაზეთი დიდ ყურადღებას აქცევს მოთხილამურეთა შეჯიბრებას მსოფლიო პირველობაზე, რაც გუშინ დაიწყო ფალუნში. სპორტის ყველა მიმომხილველი მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა სპორტსმენის ვლადიმერ კუზინის გამარჯვებას 30 კილომეტრ დისტანციაზე. გაზეთები კუზინის გამარჯვებას „რუსეთის ტრიუმფს“ უწოდებენ.

„მორგონ-ტიდნინგენი“ აღნიშნავს, რომ, მოიპოვა რა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება 30 კილომეტრ დისტანციაზე, კუზინმა დაამტკიცა, რომ მისი გამარჯვება ფინელ სპორტსმენებზე, რომელიც მან მოიპოვა ჯერ კიდევ სვერდლოვსკში, შემთხვევითი არ იყო.

პირველად მიიღო რა მონაწილეობა სათხილამურო სპორტის მსოფლიო პირველობის გათამაშებაში, წერს „დაგენს ნიუჰეტერი“, საბჭოთა კავშირმა უკვე მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის პირველი ტიტული.

გაზეთი აღნიშნავს კუზინის განსაკუთრებულ სიმტკიცეს. „კუზინი მიდიოდა ყველაზე უფრო თანაბრად „— წერს გაზეთი. — იგი მიდიოდა გამარჯვებისაკენ, როგორც საათის მექანიზმი“.

„მორგონ-ტიდნინგენი“ მოწინავე სტატიაში წერს:

„შეეციისათვის უდიდესი ღირსებაა იყოს ფართო შეჯიბრებათა ორგანიზატორი, რა სასიხარულოა, რომ საოხილამურო შეჯიბრებას პირველად აქვს ნამდვილი მსოფლიო პირველობის ხასიათი რუს სპორტსმენთა მონაწილეობის მეოხებით“.

განკეტი ოსლოში საბჭოთა და ნორვეგიელ მოცეგურავეთა პატივსაცემად

ოსლო, 15 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ნორვეგიის მოცეგურავეთა კავშირში ოსლოში გამართა ბანკეტი საბჭოთა და ნორვეგიელ მოცეგურავეთა პატივსაცემად, რომლებმაც 13 და 14 თებერვალს მონაწილეობა მიიღეს ამხანაგურ შეჯიბრებაში ჩქარ ცეგურაობაში. ბანკეტს დაესწრნენ სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული ნორვეგიაში ნ. ი. მოლიაკოვი, ოსლოს ბურგომისტრ